პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

21 მაისი, კვირა, 1989 წ.
№ 96 (10 015) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიო თასის შესარჩევი საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში

ელიზბარ უბილავა ერთ-ერთი ლიდერია

მოსკოვში ჭადრაკის დიდი ზეიმია. შარშანდელი ზაფხულის შემდეგ, როცა ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატში მრავალი წლის „შესვენების“ შემდეგ პირველად მიიღეს მონაწილეობა მსოფლიო ჩემპიონმა და მსოფლიოს ექსჩემპიონმა, ჭადრაკის ასეთი დღესასწაული ჩვენს ქვეყანაში არც გამართულა. მსოფლიო თასის მეორე გათამაშების ამ შესარჩევმა ტურნირმა 128 მიმდევარი მიიზიდა. მათ შორის 80 დიდოსტატია. სულ შეჯიბრებაში 30 ქვეყნის მოჭადრაკეები გამოდიან.

პირველი ასეთი შეჯიბრება, როგორც გახსოვთ, შარშანდელი წლის დეკემბერში ბელგრადში გაიმართა. მართალია, იქ ახლანდელ ტურნირზე ბევრად მეტმა, 220 მოჭადრაკემ ითამაშა, მაგრამ სამაგიეროდ მოსკოვის შესარჩევი გაცილებით უფრო ძლიერი შემადგენლობისა გამოდგა.

კიდევ რითაა ეს შეჯიბრება საყურადღებო? „იზმაილოვოს“ ტურისტული კომპლექსის კინო-საკონცერტო დარბაზში მიმდინარე ტურნირის სპონსორები არიან კომპლექსური კოოპერატივი „კონტური“, პაკისტანის ცნობილი ფირმა „ტაბანი“, იაპონიის ფირმა „მიცუდისი“ და დასავლეთგერმანული ფირმები — „ინტერკორი“, „მეფისო“ და „ოლიმპია-რაიზენი“. აი, რა როლს ასრულებს თითოეული ეს ფირმა — „ტაბანმა“ საპრიზო ფონდისთვის 100 ათასი დოლარი გაიღო, „მიცუდისიმ“ უცხოელი მონაწილეებისა და მსაჯების ავტრანსპორტო გადასახადების დაფარვა აიღო თავის თავზე, დასავლეთგერმანულმა ფირმებმა კი სხვადასხვა ალჭურვილობა გამოგზავნეს, მათ შორის საჭადრაკო კომპიუტერები, რომლებმაც დიდძალი ხალხი მიიზიდა. სამწუხაროდ, და ეს ოფიციალურ წრეებშიც აღინიშნა, პასიური როლი დაიჭირეს ქვეყნის ჭადრაკის მესვეურებმა, ისინი ამ დიდი მასშტაბის შეჯიბრების საზეიმო გახსნასაც არ დაესწრებიან.

და ბოლოს, იმას დავძენთ, რომ პირველ რვა ადგილზე გასული მოჭადრაკეები განაგრძობენ ბრძოლას მსოფლიო თასის მეორე გათამაშებაში მონაწილეობისთვის, ხოლო 1-40 ადგილზე გასული მონაწილენი სხვადასხვა ოდენობით ფულად პრიზს მიიღებენ. შეჯიბრება შვეიცარული სისტემით მიმდინარეობს, გათამაშდება 9 ტური.

ამ მართლაც დიდ ზეიმში ქართველი მოჭადრაკეებიც გამოდიან, მათ შორისაა მსოფლიო ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე. სხვათა შორის, მაიას გარდა ტურნირში კიდევ 5 ქალი მონაწილეობს: დიდოსტატები ქეთევან არახამია, ჟ. ვერეცი-პეტრონიჩი (უნგრეთი), ჰოლანდიელები ჰ. ვრეკენი, ფ. ჰეემსკერკი და ა. გალიამოვა (მოსკოვი).

საყოველთაო ინტერესს იწვევს მსოფლიოში ჭადრაკის უხუცესის, 77 წლის უბერებელი ამერიკელი დიდოსტატის სამუელ რეშევსკის მონაწილეობა. იგი უკომპრომისოდ იბრძვის, თუმცა ჯერჯერობით სამივე პარტია ყაიმით დაამთავრა.

I ტური: უბილავა — მინასიანი — 1:0, გურევიჩი — აზმაიფარაშვილი — 0,5:0,5, ტუკმაკოვი — ზაიჩიკი — 0,5:0,5, იაელიანი — ოლი — 0:1, ჩიბურდანიძე — ციტლინი — 0:1, არახამია — აკოფიანი — 0,5:0,5.

II ტური: ნ. დე ფირმიანი — უბილავა — 0:1, აზმაიფარაშვილი — კლინგერსი 1:0, ზაიჩიკი — დოხოიანი — 0:1, ლაუსი — იაელიანი — 0,5:0,5, სეკელი — ჩიბურდანიძე — 0,5:0,5, დიზდარევიჩი — არახამია — 0,5:0,5.

III ტური: უბილავა — კრასენკოვი — 0,5:0,5, დრეევი — აზმაიფარაშვილი 1:0, შაბალოვი — ზაიჩიკი — 0:1, იაელიანი — კოჩიევი — 0,5:0,5, ჩიბურდანიძე — ფაულანდი — 0:1, არახამია — გეორგიუ — 0,5:0,5.

IV ტური: ტიმოშენკო — უბილავა — 0:1, აზმაიფარაშვილი — მარიასოვიჩი — 1:0, ზაიჩიკი—სავონი — 0,5:0,5, გურევიჩი — იაელიანი — 1:0, ნიკოლიჩი — ჩიბურდანიძე — 0,5:0,5, გლიგორიჩი — არახამია — 0:1.

4 ტურის შემდეგ ლიდერობენ: უბილავა და პიგუსოვი — 3,5-3,5 ქულა. მონაწილეთა დიდ ჯგუფს 3-3 ქულა აქვთ. არახამიას, აზმაიფარაშვილს — 2,5-2,5... სამუელ რეშევსკს და გენადი ზაიჩიკს — 2-2, ჩიბურდანიძეს და იაელიანს — 1-1.

9 აპრილის გლოვის ლოცვა

ორმოცი დღისთავზე

ცხრამეტ მაისს, ცისკრის ჟამზე,
პირჯვარი რომ გარდვისახე,
წინ დამიდგა, წმინდანებო,
თქვენი წამებული სახე.

თქვენი სისხლი შეუერთდა
ზიარებად ქართულ მირონს,
ილიას შუბლს, ვაჟას ფილტვებს
და დამსხვრეულ გალაკტიონს!

რუსთაველზე ვარდთა კვნესა
ისევ ისე ზეცას სწვდება,
ფალიაშვილს „თავო ჩემო“
თვალებიდან ცრემლად სწყდება.

შავად რომ ჩანს მგლოვიარე,
ისევ ის ცხრა აპრილია,
ქვებზე წითლად წმინდა სისხლი
ო, რა ულვთოდ დაღვრილია.

კვლავ კენკავენ სისხლის წვეთებს
მზის ჩიტები ვით საფიცარს,
ცაში მიაქვთ და ღიაა
თქვენთვის კარი სამოთხისა.

და აღმდგარი მკვდრეთით ქრისტე
გეგებებათ საუფლოსა,
საუკუნო ხსენებად და
სამარადო მხურვალ ლოცვად.

შუაღამით დღღამდით და
ცისკრის შუქზე გათენდებით,
თქვენს სისხლს, არვის არასოდეს,
არ შევარჩენთ ქართველები.

შენ, მფარველო ქართველ ერის
და იმედო ერთადერთო,
ჩვენთან იყავ, ჩვენთან დარჩი,
წინ წაგვიძეხ, დიდო ღმერთო!

ოთარ მამფორია.
1989 წ.

„თბილისი“, 19 მაისი.



ჯავარ ლომაძის ფოტო.



საქართველო მსოფლიო სპორტის სამყაროში! — რანი ვიყავით, როგორ გვიცნობდნენ და გვაფასებდნენ, რანი ვართ და რა პერსპექტივები გვაქვს მსოფლიო ქვეყნებთან სპორტული ურთიერთობების გასაღრმავებლად? დღეს გთავაზობთ პირველ წერილს ამ თემაზე.

იხ. მე-2 გვ.

საქველმოქმედო ფონდში

„სიჯანსაღისა და სპორტის საქველმოქმედო ფონდი“ 9 აპრილის ტრაგედიამდე რამდენიმე დღით ადრე ჩამოყალიბდა. მისი შექმნის მოთავე იყო შესანიშნავი ფიზკულტურული მუშაკი ნოდარ ჯანგირაშვილი, რომელიც იმ ავბედით დილას დაიღუპა რუსთაველის გამზირზე. ნ. ჯანგირაშვილმა თავად გახსნა ანგარიში — 100 მანეთი შეიტანა ფონდში. მისი დაღუპვის შემდეგ კი ერთ-ერთი პირველი იმ ორგანიზაციებიდან, ვინც ფონდს თანხა შემატა, ის კოლექტივი იყო, სადაც ნოდარი მუშაობდა. ავტორთა თხოვნით რედაქციამ ამ დღეებში ჰონორარი გადაურიცხა ფონდს, საქართველოს პროფსაბჭომ კი 10 ათასი მანეთი გაიღო.

შეგახსენებთ, ფონდის ანგარიშია 000700367, თბილისის ბინსოცბანკის საოპერაციო სამმართველო.

●◆●◆●

მხოლოდ „მეორე რაუნდში“



ასპარეზობის შუამავალმა არბიტრმა მცხეთელმა აბესალომ წიკლაურმა შესანიშნავად გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას.

კულმინაციას უახლოვდება შეხვედრები ქართულ ჭიდაობაში საქართველოს სოფლებსა და ქალაქების უბნების პირველობის პროგრამით რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრიზზე. მეტად საინტერესო გამოდგა 18 მაისს გამართული ორთაბრძოლებიც კიროვის პარკის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში. ეს შეხვედრები, როგორც ადრე გამოვაცხადეთ, მეოთხედფინალურ ეტაპს განეკუთვნებოდა და მეტოქეები — ქუთაისისა და გორის, აგრეთვე პატარძეულისა (საგარეჯოს რაიონი) და ჰაყის (ხაშურის რაიონი) გუნდები ნახევარფინალის საგზურებისთვის იბრძოდნენ.

გორელთა და ქუთაისელთა შერკინების წინ ფავორიტებად, ცხადია, პირველები ითვლებოდნენ. „გუნდში უფროსი სპორტსმენები არც გვყავს, სულ 1973-1974 წლებში დაბადებული ბავშვები არიან, — გვითხრა ქუთაისელთა მწვრთნელმა ვიტალი გაბუნიამ, — ყველანი ძიუდოისტები არიან. ჩვენთან არ ეწყობა ქართული ჭიდაობის სალამოები, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში იციან, მაგრამ ჩვენი ბიჭები თანატოლთა შორის არც ქართულ ჭიდაობაში ჩამორჩებიან ვინმეს. სწორედ ჩვენ გავიმარჯვეთ რესპუბლიკის მოსწავლეთა სპარტაკიადაზე და ჭაბუკთა თამაშებშიც. აქაც მეოთხედფინალამდე საკმაოდ ძლიერი გუნდები დავამარცხეთ. ასე თანდათანობით, ტურ-

იხ. მე-4 გვ.

COURSE DE LA PAIX 42°
W - B - P 1989

მშვიდობის 42-ე ველორბოლა

ამპლერი — ზედიზედ მესამედ!

გუშინ ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქ პრაღაში დასრულდა მშვიდობის 42-ე ველორბოლა. პირად ჩათვლაში გამარჯვება მოიპოვა გდრ-ის წარმომადგენელმა უვე ამპლერმა. იგი პირველი სპორტსმენია, რომელმაც ამ შეჯიბრების ისტორიაში ზედიზედ მესამედ მოიპოვა ჩემპიონობა. თანაგუნდელებთან ერთად ამპლერმა მოიგო ველორბოლის გუნდური პირველობაც.

ბოლო, მე-12 ეტაპი კი მოიგო ჰოლანდიელმა ფრანკ ვან ვეენენდალმა. პრიზიორთა სამეულში არიან ჩეხოსლოვაკიელი იან სვორადა და იტალიელი ალბერტო ლესტრო.

საქართველო მსოფლიო სპორტულ სამყაროში

„მოგზაურო, შეხედე ფარნაკის ძეგლს!“

გასული წლის შემოდგომაზე, როცა თორმეტმა ქართველმა ოლიმპიელმა ოქრო-ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით გაამდიდრეს საქართველოს ოლიმპიური ყულაბა, ყოველ ქართველს სიამაყის გრძნობამ გაუთბო გული, — ამ წარმატებამ ხომ მსოფლიოს კიდევ ერთხელ გაახსენა პატარა საქართველო, რომლის სპორტულ მოძრაობასაც საკმაოდ [illegible] საერთაშორისო რეზონანსი აქვს.

მაგრამ, ვინც წარსულს კარგად იცნობს, არ შეიძლება გული არ დაწყვიტოს იმ გარემოებამ, რომ მსოფლიომ კი არა, საქართველოს ბევრმა მკვიდრმა არ იცის, რომ უძველესი დროიდან მოყოლებული, საერთაშორისო სპორტულ კავშირებში საქართველოს წარმომადგენელთა საკმაოდ აქტიური მონაწილეობის წყალობით მსოფლიომ ყოველთვის ყველაფერი იცოდა ქართული სპორტული მოძრაობის შესახებ.

ქართველთა მაღალი სამხედრო ხელოვნების, ფიზიკური მომზადებისა და საბრძოლო იარაღის თვითმხილველი უცხოელი მოღვაწენი თავიანთ თანამემამულეებს საოცარ ამბებს უყვებიან ქართველური ტომების შესახებ: **„ეს იყო უმამაცესი ხალხი ყველა იმათ შორის** (ნაგულისხმევია ხალიბები, ა. ც.), **ვისთანაც კი ელინებს საქმე ჰქონდათ თავისი ლაშქრობის დროს... ხმლებით ისინი ყველას კლავდნენ, ვინც კი ხელში ჩაუვარდებოდათ... მიდიოდნენ წინ, ცეკვავდნენ და მღეროდნენ იმ დროს, როდესაც მტრებს შეეძლოთ მათი დანახვა... ისინი თავიანთ ადგილზე ცხოვრობდნენ, ხოლო როდესაც ელინები მახლობლად გაივლიდნენ, დაედევნებოდნენ მათ და ებრძოდნენ“; „დრილები ცხოვრობდნენ ძნელად მისადგომ მთებში და პონტოს ყველაზე უფრო მეომარ ხალხს წარმოადგენდნენ“** (ქსენოფონტე); **„სოანები თავისი სიმამაცითა და სამხედრო ძლიერებით თითქმის ყველა ხალხებზე უფრო სახელოვანნი არიან“** (სტრაბონი); **„ძლიერსა და მამაც ტომს წარმოადგენენ ლაზები და სხვა ძლიერ ტომებსაც მბრძანებლობენ, ამაყობენ კოლხთა ძველი სახელით და ზომაზე მეტად ქედმაღლობენ, შესაძლოა არც თუ ისე უსაფუძვლოდ“** (აგათია სქოლასტიკოსი)...

ქართველთა ასეთი „დახასიათებების“ წყალობით უცხოტომელებმა შესანიშნავად იცოდნენ, რომ საქართველოში მაღალ დონეზე იდგა ზოგიერთი სამხედრო ვარჯიშობა, მაგალითად ცხენოსნობა, ფარიკაობა, მშვილდოსნობა და სხვ. („ქართველები საუკეთესო ჯიშის მაღალი ცხენებით იყვნენ განთქმულნიო“, — ბევრი უცხოელი ისტორიკოსის ნაწერებში გვხვდება ამგვარი ცნობა).

იმავე მწერლებისა და ისტორიკოსების მონათხრობით მაშინდელმა ცივილიზებულმა მსოფლიომ კარგად იცოდა, რომ საქართველოში საკმაოდ ბევრი და ლამაზი სპორტული ბაზები არსებობდა. ჯერ კიდევ „არგონავტების“ ავტორი აპოლონიოს როდოსელი გვარწმუნებს, რომ ქუთაისში გალავნით შემოფარგლული ფართო ასპარეზი იყო, სადაც რბენაში და სხვა სამხედრო სახეობებში იმართებოდა შეჯიბრება დაღუპულ გმირთა მოსაგონებლადო (განა ეს იგივე დღევანდელი სპორტული მემორიალის გათამაშება არ არის?). უცხოელი ავტორები მიუთითებენ სპორტული ბაზების არსებობაზე ფოთში და შავიზღვისპირეთის ზოგიერთ ქალაქში. პროკოფი კესარიელი წერს: **„ქალაქი** (ავტორი გულისხმობს ძველ კოლხურ ქალაქს აფსარტს, ანუ აფსარეს, რომელიც ისტორიკოსთა მტკიცებით, დღევანდელი სარფის ტერიტორიაზე მდებარეობდა, ა. ც.) **ძველად მრავალმოსახლოვანი ყოფილა. მას... ამშვენებდა თეატრი და იპოდრომი“**. ცხადია, ეს ტრადიცია არც შემდეგ დარღვეულა, რამაც XII საუკუნის მეხოტბეს ჩახრუხაძეს საგანგებოდ შეაქებინა თამარის კარზე არსებული **„გალავანისა შემკულობანი... კართა ხტოვანი, ერთა სტოლანი, იპოდრომისა განხმულობანი“**.

ქართულმა სპორტულმა კულტურამ განსაკუთრებით გაიელვა ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე საუკუნეში, როდესაც სინოპელმა ქართველებმა რუფუსმა და იკლიქტამ მოიპოვეს ბერძნული ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ტიტული კრივში, ხოლო ქუთაისელებმა — კრატინომ და ზლატონმა, აგრეთვე მესხებმა ზოსიმემ და სო[illegible]ისმა ტრიუმფით მოიარეს ბოსფორის ბერძნული სახელმწიფო, სადაც პირველი ადგილები დაიკავეს დოლიხოდრომში (დოლიხოდრომი დღევანდელი საშუალო მანძილების იდენტურია. აღვნიშნავ იმასაც, რომ კრატინოს სამჯერ მოუპოვებია ჩემპიონის ტიტული ამ შეჯიბრებებზე, სადაც უმთავრესად მაღალი კლასის ათლეტები იღებდნენ მონაწილეობას).

რბენაში ქართველი ათლეტების მასობრივი წარმატება არ უნდა გვაკვირვებდეს თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ჩვენს ქალაქებში სპეციალური სარბენი სტადიონები არსებულა, ხოლო მესხი ეთნოგრაფის ივანე გვარამაძის (მიხეილ თამარაშვილის გამზრდელის) ცნობით, ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე სრულიად საქართველოს თამაშებში (რომელიც ყოველ 4 წელიწადში ერთხელ ტარდებოდა „სამესხო საქართველოში“ ზუსტად ბერძნული ოლიმპიადების პროგრამით) შეჯიბრებების ერთ-ერთ მთავარ სახეობას **„კაცთა და ქალთა გაქცევანი“** წარმოადგენდა. შემთხვევითი არ უნდა იყოს ისიც, რომ სულმნათი საბა სიტყვა „სლვა“-სთან დაკავშირებით სიარულისა და რბენის ამსახველ 40-მდე ტერმინს განმარტავს.

როგორც ჩანს, უცხოელების (ამ შემთხვევაში ბერძნების) მხრიდან ქართული სპორტის ავ-კარგში საუკეთესოდ გარკვევის შედეგი უნდა იყოს ის ფაქტიც, რომ თურმე ოლიმპიადის სამშობლოს სპორტის მესვეურები მწვრთნელებადაც კი იწვევდნენ ქართველ ათლეტებს. ერთ-ერთი ასეთი ყოფილა სინოპის მკვიდრი ქართველი ფარნაკ ფარნაკის ძე, რომელსაც თავისი კეთილი საქმეებით (პირველ რიგში, ცხადია, ბერძენი ახალგაზრდების მომზადებით) დიდი სიმპათია მოუპოვებია ადგილობრივ მოსახლეობაში. სამწუხაროდ, იგი 22 წლისა გარდაცვლილა. მისი საფლავის ძეგლზე შემდეგი შინაარსის ეპიტაფიაა ამოკვეთილი: **„მშვიდობით, ფარნაკ ფარნაკის ძევ. მოგზაურო, შეხედე ფარნაკის ძეგლს, რომელიც მოსტეხა აიდას სიმძიმემ. ბედშავი ყმაწვილი გაახვია თავის ბადეში, საქმიანობით გიმნასტიკის მასწავლებელი, ასაკით ახალგაზრდა. თავისი თავდადებით სამშობლო სინოპიდან დასავლეთში წამოსული. მის ურნას ინახავს ბოსფორის მიწა. გიმნასიაში მდუღარე ცრემლებით ყველა დასტირის; ხამიტიონმა, მამობილმა მშობლიურ მამას გადააჭარბა მის სიყვარულში — საფლავზე ქვის ძეგლი დაუდგა“**.

შეუძლებელია ქართული სპორტული კულტურის დიდი საერთაშორისო რეზონანსის შედეგად არ მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ ზოგი უცხოელი სარდალი სპეციალურად სწავლობდა ქართულ ფიზიკურ ვარჯიშებს, რათა შეეტანა ისინი საკუთარი არმიის მომზადების საშუალებათა არსენალში. ასე მოიქცა, მაგალითად, რომაელი პომპეუსი, როცა იგი მცხეთას მოვიდა. მან სპეციალურად მოაწვევინა ხევსური მოფარიკავეები. მემატიანე გვიამბობს: პომპეუსი დაინტერესდა **„თუ ვითარ ხმარობდნენ იგინი საჭურველთა საომართა და ჰყვეს მათ ვარჯიში ხმლითა და ვითარს სახითა ჯერ არს ბრძოლასა და შინა ხმარება ხმლისა და ფარისა... დამოსნა ისინი პომპეიმ რომაელთა შესამოსლებითა და ფრიად სცნო სიმხნე და მამაცობანი მათნი“**.

ქართულ ფიზიკურ ვარჯიშებს და მათ უბადლო შემსრულებლებს გაეცნო ყოვლისმხილველი რომი ჯერ კიდევ 138 წელს (ჩემი კოლეგა ა. ცამციშვილი თვლის, რომ ეს მოხდა 141 წელს), როდესაც რომს დიდი ამალით ეწვია ქართველთა მეფე ფარსმან მეორე. მან, მისმა ვაჟმა ადამმა და ორასამდე ქართველმა გააოცეს რომაელი მაყურებლები. როგორც ისტორიკოსი დიონ კესიოს კოკეირონი გადმოგვცემს, რომის სენატორები ჯერ მოხიბლა ფარსმანის მაღალგონივრულმა სიტყვამ, წარმოთქმულმა სენატში, მერე იმპერატორმა პიუსმა ინახულა **„სამხედრო ვარჯიშობანი ფარსმანისა, მისი ვაჟისა და სხვა წარჩინებული ივერიელებისა... და ცხენოსანი ფარსმანის ქანდაკება მარსის მინდორზე დადგა“**. მივაქციოთ ყურადღება: ფარსმანს რომში თან ახლდა სახელმწიფო დანიშნულების ამალა და არა სპეციალურად სპორტში გაწვრთნილი მეომრების ჯგუფი და, მიუხედავად ამისა, ეს „წარჩინებული ივერიელები“ აკვირვებენ სპორტის უაღრესად კარგ მცოდნე რომაელებს. აქედან იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება (და ეს დასკვნა პირველ ყოვლისა ალბათ თვით რომაელებმა გააკეთეს მაშინ), რომ საქართველოში ფიზიკური ვარჯიშობა და სათანადო გაწვრთნილობა სავალდებულო იყო ყველასათვის, სახელმწიფოს ხელმძღვანელი იქნებოდა იგი, დარბაზის წევრი თუ რიგითი შებრძოლი.

- ● ქართველები ოლიმპიურ თამაშებში—მესამე საუკუნეში ჩვენს ერამდე
- ● ოლიმპიადები „სამესხო საქართველოში“
- ● საქართველოდან მწვრთნელებად — ოლიმპიადის სამშობლოში
- ● ხევსურთა ფარიკაობამ მოხიბლა პომპეუსი
- ● „წარჩინებული ივერიელები“ — რომში

შეუძლებელია მთელ მაშინდელ აღმოსავლეთს ამბად არ მოსდებოდა ის, რაც ირანელ (უფრო ზუსტად, შირვანისა და რანის) ჩოგანბურთელებს დამართეს თამარის ჩოგანბურთელებმა. ეს მოხდა 1191 წელს, როდესაც თამარს ამ ქვეყნების დელეგაცია ეწვია დახმარების სათხოვნელად. **„წარმოავლინნეს მოციქულნი ძღუენითა ურიცხუითა“**, რადგან თამარის გარდა **„არავინ იხილეს მხსნელი და მაცხოვარი მათი“**, — გვამცნობს მემატიანე. ქართველთა გუნდში თამაშობდნენ ზაქარია და ივანე მხარგრძელები, ჰერეთის ერისთავი გრიგოლი, თამარის მეუღლე დავითი და სხვანი. მოედანზე ჩამობრძანდა **„თვით თამარ, საჭურეტლად პირითა მით ბრწყინვალითა და ნათელმფენითა“**. დაიწყო თამაში და **„ისლემნი, დაჭერებულნი თავისა მეცადინეობისანი, და მძლემბრძოლნი, მსწრაფლ იძლივნეს დავით მეფისა და მისთა მოყმეთაგან და შეიქცეს ძლეულნი და მჴვეუნვებულნი“**.

თამარის დროს განსაკუთრებული სიჭარბით ტარდებოდა ისეთი სპორტული ღონისძიებანი, რაც საერთაშორისო მასშტაბით ქართული სპორტული კულტურისა და ჯარის მაღალი ფიზიკური მომზადების დემონსტრაციას ითვალისწინებდა. ეს იყო სპორტული შეჯიბრებებისა და საჩვენებელი გამოსვლების ჩატარება უშუალოდ დამორჩილებული მტრის საასპარეზოებზე. როცა დავით სოსლანმა და მსახურთუხუცესმა ივანემ დალაშქრეს ირანი, **„ონავარ მქნელისა სპარსი ბაზარიხათა სულტნის მოედანსა შინა ხელყვეს სიხარულად და ასპარეზობად, რომელი ესეცა არასოდეს ვისგან ქმნილიყო“**. შემდეგში არც ლაშა-გიორგის დაურღვევია მამისეული ტრადიცია და იგივე გაუკეთებია, როცა კარნუ ქალაქელები დაემორჩილნენ; იგი **„ჩადგა ბასიანს და მუნ ითამაშეს“**.

ხშირად ქართველი ათლეტების გამოსვლა საერთაშორისო ასპარეზზე დიდ რისკთან იყო დაკავშირებული; მტრის მოედანზე მათს გამარჯვებას შეიძლებოდა საბედისწერო დასასრული ჰქონოდა, მაგრამ ისინი მაინც ჯიქურ ებმებოდნენ ამ სახიფათო ორთაბრძოლებში. ცნობილია, რომ მონგოლთა ყაენის კარზე მეცამეტე საუკუნის შუა წლებში ადგილობრივმა მაყურებლებმა ნაკუწებად აქციეს ორი ქართველი მოჭიდავე, რომლებმაც გაბედეს და ყაენის თვალწინ ბექებზე დასცეს მათი ფალავნები.

ყოველივე ამის შემდეგ ალბათ ქართველი კაცის უტეხ ბუნებას უნდა მივაწეროთ ის, რაც დავით მეშვიდემ (იგივე ულუ დავითმა) გააკეთა ყაენის კარზე ჩასვლისთანავე. როგორც „ქართლის ცხოვრება“ გვატყობინებს, მუღანში ჩასულმა დავითმა ასე მიმართა ყაენს: **„ვინათგან მოგცა თქუენ ღმერთმან ძლევა ყოველთა მტერთა და ყოველთა კაცთა უმჯობესად გაგაჩინა, და აჰ აქა არს მხედარი ასი ათასი ვინცა მერკინების, გინა მედგინების, ანუ ისარსა განასრევთ, მზა ვარ“**. ასიათასი კაციდან ჯერ ვერავინ გაბედა გამოსვლა დავითის წინააღმდეგ, ხოლო შემდეგ **„ვინცა იპოვა, ყუელა სძლია“**. დავითმა ალბათ სხვებზე კარგად იცოდა, რომ მის ასეთ „თავხედობას“ შეიძლებოდა მისი სიკვდილი მოჰყოლოდა, მაგრამ მან ისიც უწყოდა, რომ პოლიტიკური, სარწმუნოებრივი თუ იდეოლოგიური ბრძოლის დროს ასეთი მსხვერპლის გაღება საჭირო იყო. ასე იყო თუ ისე, დავითმა ქართული სპორტის დახმარებითაც შეძლო თავისი სამშობლოს ავტორიტეტზე ზრუნვა მაშინ, როცა ეს ქვეყანას ძალზე ესაჭიროებოდა.

ზუსტად მსგავს სიტუაციაში აღმოჩნდა სამცხის ათაბაგი ყვარყვარე, რომელიც 1579 წელს სტამბოლში სულთანის კარზე დასჭიდეს ქვეყნის მბრძანებლის ფალავანს. პირობა ასეთი იყო: თუ ქართველი დაამარცხებდა თურქ მოჭიდავეს, მაშინ სულთანი ხელს აიღებდა ყვარყვარეს ძალით გამაჰმადიანებაზე, ხოლო დამარცხების შემთხვევაში შეიძლებოდა ყველაფერი დაეკარგა, თვით სიცოცხლეც კი. **„პატრონი ყვარყვარე, — გადმოგვცემს მემატიანე, — ღუთის წინაშეც შეურცხვენელი და კაცთანაცა, ფალავანი დასცა ხუანთქართანა და ქართველობით გამოეშუა, მისის საბატონოს წყალობა ექმნა“**. ეს ამბავი თავის დროზე გაუხმაურებია ამ შეჯიბრების თვითმხილველ გერმანელ შვაიგერს, რომელიც თავის ჩანაწერებში უამბობს მკითხველს, რომ 30 წლის ასაკში ასეთი თვალტანადი კაცი არ მინახავს, დიდად განსწავლულიცაა, ჩემი ნაჩუქარი წიგნი იქვე თარგმნა ქართულადო. შვაიგერს ყვარყვარეს პორტრეტიც ჩაუხატია.

საინტერესოა, რომ ზუსტად იგივე შეემთხვა ერთ ახალციხელ ქართველს — სოლაღას, ოღონდ იგი თურქებმა ჯირითში შეაჯიბრეს ხონთქრის ფალავანს, რომელიღაც არაბ მებრძოლს. ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა. ბოლოს სოლაღამ **„დასჭყივლა და შემოსტყორცნა, დაარჭო ბეჭის ფრთაზედა, არაბი ძირს გადმოვარდა, ცხენი გარბოდა წყალზედა“**. ღამით სირცხვილნაჭამი თურქები შეიპარნენ სოლაღას სადგომში და დანით აკუწეს იგი.

ქართული სპორტისათვის საერთაშორისო რეზონანსის მასშტაბის ზრდაში განუზომლად დიდია საქართველოში მოღვაწე იტალიელი მისიონერების, განსაკუთრებით კრისტოფორო დე კასტელის როლი, რომელიც მოღვაწეობდა საქართველოში 1627-1654 წლებში. თავის ჩანაწერებში კასტელი შენიშნავს, რომ იგი საქართველოში გამოგზავნა თეატინელთა კათოლიკურმა ორდენმა, რადგანაც **„სურვილი ჰქონდათ მიეღოთ სრული ცნობები ყველა იმაზე, რაც შეეხებოდა თამაშობას ამ მხარეში“**. მან გააკეთა მრავალი ჩანახატი ქართულ ვარჯიშობებზე და თამაშებზე, სპორტულ შეჯიბრებებზე, გაუკეთა მათ საინტერესო მინაწერები. კასტელი თავის იტალიელ ხელმძღვანელებს აცნობდა (რაც შემდეგ მთელმა იტალიამ გაიგო, რამდენადაც მისი შრომა წიგნად გამოქვეყნდა), რომ **„ქართველები მისდევენ თამაშობას, რომელიც სიმკვირცხლესა და სიძლიერეს მოითხოვს“, „ამ თამაშობას, რომელსაც ცხენებით ასრულებენ [illegible] ქართველები, [illegible]კუსი ეწოდება. მასში მონაწილეობს როგორც მეფე, მთავარი, ასევე სხვა ქართველებიც“, „მეფე ამ მხედრების [illegible] და კარგად დააჭენებენ ცხენებს. ეს მოკლე სცენა ხდება იბერიის მეფის გამოჩენილ და გამოცდილ კეთილშობილთა პროვინციაში. ნიშანში ოსტატურად ესვრიან ისარს. ამ ადგილს ქუთაისი ეწოდება“; „როცა ქუთაისში ჩავედი, სადაც ქართველთა მეფე ცხოვრობდა, პატივით მიმიღეს და მიწვიეს ცხენით ბურთის თამაში, რომელშიც მონაწილეობდა მეფე, ბევრ მაღალი თანამდებობის კაცთან ერთად,“ „სვანი ქალები... მშვილდისრის ხმარებაში მამაცნი არიან, ცეცხლის იარაღის ხმარებაში კი — პირველნი“** და ა. შ. თავიანთ გამომგზავნებს ასეთსავე ცნობებს აწვდიან არქანჯელო ლამბერტი, შარდენი და სხვა მისიონერები თუ მოგზაურები.

მართალია, მომდევნო პერიოდში, განსაკუთრებით რუსეთთან შეერთების შემდეგ ქართული ხალხური სპორტი დაქვეითების გზით წავიდა, მაგრამ ასეთ პირობებშიც გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც შეძლეს წინაპართა ტრადიციების დაცვა და ევროპისა თუ ამერიკის არენებზე ქართული ცეცხლის დანთება; ეს განსაკუთრებით ეხება გურულ ცხენოსნებს, რომლებიც დიდი წარმატებით გამოდიოდნენ ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების საცირკო არენებზე, მოჭიდავეებს (ხიზამბარელს, გლდანელს, ესებუას, მაისურაძეს და სხვებს), რომლებიც ხშირად იცავდნენ ქართული სპორტის ღირსებას ირანელ მოჭიდავეებთან თუ სხვა ქვეყნების „ნილბებთან“ ორთაბრძოლებში. ამ მხრივ ტიპიურია კულა გლდანელის გამოსვლა 1906 წელს ბაქოს ცირკში, სადაც მასთან საჭიდაოდ ირანიდან სპეციალურად გამოიხმეს ცნობილი ფალავანი ხუშტურბეგი. ბაქოელი მილიონერის თავგასულმა ვაჟმა, ხუშტურბეგის მეცენატმა, კულას 50 ოქრო შესთავაზა — ოღონდ დამარცხდიო, მაგრამ კულამ სასტიკი უარით გაისტუმრა. ეგ ხუშტურბეგი ისე უნდა გავლახო, სიკვდილამდე არ დაავიწყდეს მას და მის ბაქოელ მოყვარულებსო, — უთქვამს კულას მეგობრებისათვის. კულამ შეამჩნია, რომ პირველ რიგში საპატიო ადგილზე იჯდა ბაქოს ქალაქის თავი თავადი ნაკაშიძე. კულამ ისარგებლა იმით, რომ ხუშტურბეგს ჭიდაობის დროს ხტუნვა უყვარდა. ასე ხტუნვა-ხტუნვით იგი ნაკაშიძის სავარძლისკენ გაიტყუა. ნაკაშიძეს ეგონა კულა აქტიურ ჭიდაობას გაურბის და ლეიბის ნაპირისაკენ მიილტვისო. **„რას შვრები, კულავ, ხომ არ შეშინდი, ხალიჩიდან არ გაიქცე, საქართველო არ შეარცხვინოო“**, შესძახა მან. **„ნუ გეშინიან, კნიაზ, შენთან მომყავს, ფეხებთან უნდა დავანარცხოო“**, — უპასუხია კულას, გაუკეთებია ჩოქელა კიარული და ირანელი გოლიათი ქართველი თავადის წინ გაუშხლართია.

ასევე ითქმის ქართველ ტანმოვარჯიშეებზე. საქართველოს სახელი დიდხანს არ მოსცილებია ჩეხეთის გაზეთების ფურცლებს იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს „სოკოლების“ ჯგუფებში აღზრდილი ქართველი ტანმოვარჯიშეები წარმატებით გამოვიდნენ პრაღაში გამართულ სოკოლურ მოფრენებზე (ფაქტიურად იგი მსოფლიო პირველობის დონის შეჯიბრება იყო) 1907 და 1912 წლებში. სწორედ ამ შესანიშნავი პლეადის თაოსნობით შეიქმნა შემდეგში პირველი ქართული ტანვარჯიშული საზოგადოება „შევარდენი“.

ვფიქრობ, ყოველივე ზემოთ თქმულის შემდეგ უკვე ადვილი იქნება იმ დასკვნის გაკეთება, რომ ქართულ სპორტს უძველესი დროიდანვე ჰქონდა მსოფლიო რეზონანსი და წარმატებით ემსახურებოდა ჩვენი პატარა ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტის განმტკიცებას.

ავთანდილ ციხაძე,
პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

სსრ კავშირის პირველობა კალათბურთში ● I ლიგა

დღეს თბილისში

დასასრულს უახლოვდება საკავშირო ჩემპიონატი პირველი ლიგის კალათბურთელ ქალთა შორის. შემოსვლითი მატჩების დამთავრების შემდეგ გამოვლინდა ოთხი გუნდი — კაუნასის „ბანგა“, კიშინიოვის „ინედორსტროი“, დნეპროპეტროვსკის „სტალი“ და ლენინგრადის „ვოლნა“, რომლებიც უმაღლეს ლიგაში ბოლო ოთხ ადგილზე გასულ კოლექტივებს — მოსკოვის ოლქის „სპარტაკს“, კიევის „დინამოს“, სვერდლოვსკის „ურალმაშსა“ და ალმა-ათის უნივერსიტეტის გუნდს შეეჯიბრებიან უმაღლესი ეშელონის ოთხი საგზურისთვის. რაც შეეხება პირველი ლიგის დანარჩენ რვა ბინადარს, მათ შორის საქართველოს კალათბურთელებს, ისინი ამჯერად ორწრიან ტურნირებში ხვდებიან ერთმანეთს.

დღეისთვის 25-25 მოგებით V-VI ადგილებს იყოფენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და ტარტუს უნივერსიტეტის სპორტული კლუბის გუნდები. მათ თითო მოგებით ჩამორჩებიან საყოველთაოდ ცნობილი რიგის ტტტ და პენზის „სპარტაკი“. გორკის „შრომით რეზერვებსა“ და როსტოვის „კრასნი აქსაის“ 23-23 მოგება აქვთ. ბოლო ორ ადგილზე იმყოფება სიმფეროპოლის „სპარტაკი“ და ფრუნზეს „სტროიტელი“ შესაბამისად 20 და 19 მოგებით.

დღეს თბილისში, ბავშვთა კალათბურთის სასახლეში (ცირკის პარკი), იწყება მორიგი ტურნირი, რომელშიც მასპინძლებთან ერთად იასპარეზებენ გორკის „შრომითი რეზერვები“, სიმფეროპოლის „სპარტაკი“ და ფრუნზეს „სტროიტელი“ (მსგავსი ტურნირი დანარჩენი ოთხი გუნდის მონაწილეობით გუშინ ტარტუში დაიწყო). ჩვენი კალათბურთელები შინ მხოლოდ გორკელ და სიმფეროპოლელ სპორტსმენებს შეხვდებიან, ხოლო „სტროიტელთან“, ისევე როგორც „კრასნი აქსაისთან“ და პენზის „სპარტაკთან“ 3-5 ივნისს როსტოვში ითამაშებენ. ბოლო ტურნირების შემდეგ გაირკვევა IX-XII ადგილებზე გასული გუნდების ვინაობა, რომლებსაც გადასასვლელ თამაშებში გამარჯვებულ კოლექტივებთან მოუწევთ ლიგაში დარჩენისთვის ბრძოლა.

ვაჟა დანელია.

გაგაცნობთ თბილისის ტურნირის კალენდარს:

21 მაისი

14.00 სთ. „სტროიტელი“ (ფრუნზე) — „სპარტაკი“ (სიმფეროპოლი),

16.00 სთ. სპი (თბილისი) — „შრომითი რეზერვები“ (გორკი).

22 მაისი

16.00 სთ. „შრომითი რეზერვები“ — „სტროიტელი“,

18.00 სთ. სპი — „სპარტაკი“.

23 მაისი

16.00 სთ. „სტროიტელი“ — „სპარტაკი“,

18.00 სთ. სპი — „შრომითი რეზერვები“.

24 მაისი

15.00 სთ. „შრომითი რეზერვები“ — „სტროიტელი“.

17.00 სთ. სპი — „სპარტაკი“.

„გურია“ (ლანჩხუთი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 2:0 (1:0)

ლანჩხუთი. „გურიის“ სტადიონი. 19 მაისი.

„გურია“: აბუსერიძე, მ. თევზაძე (კაბისაშვილი), ოლეფირენკო, დანელია, კუზნეცოვი, ცომაია, ჟორდანია, დოზმოროვი, კაციტაძე (მესხი), ფრიდონაშვილი, გურული.

„კუზბასი“: კრიუკოვი, პერმინოვი, კოხანიკი, ფომიჩევი, კოლჩინი, ხუროვი (სოლოვიოვი), პრონიკოვი, ლიხაჩოვი, ზემლინი, დუბენსკი (ბოლოგოვი), როგალევსკი.

მსაჯი მ. ილიაკოვი (სიმფეროპოლი).

ლანჩხუთელ ფეხბურთელთა უპირატესობა აშკარა იყო თავიდანვე. „კუზბასის“ კართან მრავალი სახიფათო მომენტი შეიქმნა, მასპინძელთა თავდამსხმელებმა ვერ გამოიყენეს ბურთის გატანის საუკეთესო შესაძლებლობანი და ანგარიში მხოლოდ 32-ე წუთზე გაიხსნა: სტუმართა ნახევარზე მცველები უხეშად ეთამაშნენ დოზმოროვს, დაინიშნა საჯარიმო, ჟორდანიამ საკმაოდ შორი მანძილიდან ზუსტად გაგზავნა ბურთი კარში — 1:0.

ბრძოლის სურათი მინდორზე არც შესვენების შემდეგ შეცვლილა. ლანჩხუთელები კვლავ უტევდნენ, 76-ე წუთზე ჟორდანიამ მიიღო დოზმოროვის გადაცემა და მეორედ აიღო კრიუკოვის კარი.

ავთანდილ ორმოცაძე.
(ტელეფონით, „ლელოს“ კორ.).

I ლიგა

სტატისტიკოსის ბლოკნოტში

I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების განვლილ ტურში ქუთაისის ტორპედოელებმა, როგორც ცნობილია, კრასნოდარში მოუგეს ადგილობრივ „ყუბანს“ — 2:1 (0:0). გამარჯვებულთაგან ორივე ბურთი გაიტანა მეგრელაძემ.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 21 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	10	7	1	2	30-7	15
„კაირატი“	10	6	3	1	21-8	15
„ნეფთჩი“	10	5	4	1	13-9	14
„ფახთაქორი“	10	5	3	2	16-5	13
„ნისტრუ“	10	5	1	4	9-11	11
„სპარტაკი“	10	4	3	3	11-11	11
„ფაკელი“	9	3	5	1	5-2	11
„დინამო“ სტ.	9	2	7	0	8-6	11
„კოტაიკი“	9	4	2	3	12-4	10
„გეოლოგი“	8	4	1	3	8-7	9
„მეტალურგი“	9	4	1	4	10-11	9
„გურია“	8	3	3	2	11-7	9
„ტავრია“	9	3	3	3	13-16	9
„დინამო“ ბ.	9	3	3	3	6-11	9
„ყუბანი“	10	3	2	5	9-18	8
„როსტსელმ.“	8	2	4	2	8-9	8
ასკ რ.	9	3	1	5	13-13	7
„ტორპედო“	8	3	1	4	10-14	7
„შინიკი“	9	2	3	4	8-17	7
ასკ „კარპატი“	10	0	4	6	8-17	4
„კუზბასი“	10	0	4	6	2-12	4
„დაუგავა“	10	0	3	7	5-21	3

მკითხველი — გაზეთი

ფეხბურთის მოყვარულმა ე. ლაცაბიძემ (რუსთავიდან) მოგვმართა წერილით: „გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ 1989 წლის 18 აპრილის ნომერში მოთავსებულია ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ 1982 წლის 21 ოქტომბერს მოსკოვის ლუჟნიკის სტადიონზე უეფა-ს თასის გათამაშების მატჩში მოსკოვის „სპარტაკსა“ და ჰოლანდიის „ჰაარლემს“ შორის მომხდარა ტრაგედია, რის შედეგადაც დაღუპულა 100-მდე გულშემატკივარი. ამის შესახებ ფეხბურთის მოყვარულებმა აქამდე არაფერი ვიცოდით.

თუ არსებობს დაწვრილებითი ინფორმაცია, გთხოვთ მოგვწეროთ“.

სულ ახლახან მოსკოვის გამოცემა „არგუმენტი ი ფაქტიში“ (№17) გამოქვეყნდა ცნობა, სადაც რუსთაველი ფეხბურთის მოყვარულის შეკითხვაზე ვპოულობთ შესაბამის პასუხს:

„1985 წელს ბელგიაში მომხდარი ტრაგედიის შემდეგ, სადაც „ეიზელის“ სტადიონზე დაიღუპა 38 გულშემატკივარი და 200-ზე მეტი დასახიჩრდა, იუნესკო შეუდგა სპორტში მომხდარი ძალმომრეობისა და უბედურ შემთხვევათა ფაქტების აღრიცხვას. ამ ორგანიზაციის ცნობით მხოლოდ საფეხბურთო მატჩების ჩატარებისას 1946 წლიდან მსოფლიოში დაიღუპა 900 კაცზე მეტი და დაახლოებით 3700 დაშავდა. შეგახსენებთ, რომ უბედური შემთხვევები ჩვენს სტადიონებზეც ყოფილა.

1982 წელს ლუჟნიკში უეფა-ს თასის მატჩში მოსკოვის „სპარტაკსა“ და ჰოლანდიის „ჰაარლემს“ შორის წარმოქმნილი ზედახორის შედეგად დაიღუპა დაახლოებით 60 ადამიანი.

მაგრამ საფეხბურთო ტრაგედიები ხდება არა მარტო უბედური შემთხვევების გამო, არამედ „ფეხბურთის მოყვარულთა“ გადამტერებული ჯგუფების შეჯახებათა მიზეზითაც. 13-15 აპრილს მოსკოვის „სპარტაკისა“ და კიევის „დინამოს“ ფანატიკოსი გულშემატკივრების შეტაკების თავიდან ასაცილებლად მობილიზებული იყო წესრიგის დამცველი ორგანოების დაახლოებით 6.000 მუშაკი. კიევის შინაგან საქმეთა ორგანოებმა სხვადასხვა დარღვევისთვის დააპატიმრეს კიევის „დინამოს“ 50 და მოსკოვის „სპარტაკის“ 69 გულშემატკივარი. დაკავებულებს აღმოუჩინეს 48 საჯარისკაცო ქამარი, 18 თვითნაკეთი და ჯიბის დანა, 25 ლითონის კეტი, ჯაჭვი, რეზინის შლანგი და ასაფეთქებელი ჭურვი“.

თავაწეულები დაბრუნდნენ

ალბათ საქართველოში არ მოიძებნება ნორჩი წყალბურთელი, რომელიც თბილისის „დინამოს“ ოსტატთა გუნდის შემადგენლობაში გამოსვლაზე არ ოცნებობდეს. გამონაკლისები, რაღა თქმა უნდა, არც საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროსთან არსებულ ექსპერიმენტული სამეცნიერო-საწარმოო პედაგოგიურ გაერთიანებასთან არსებული ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებული წყალბურთის სპორტსკოლის (დირექტორი მერაბ ქართველიშვილი) აღსაზრდელები არიან. ისინი წლეულს რამდენიმე საკავშირო ტურნირში გამოვიდნენ და ყველგან წარმატებას მიაღწიეს. ახლახანს ამ სპორტსკოლის ნორჩი წყალბურთელები სამ სხვადასხვა საკავშირო შეჯიბრებაში ჩაებნენ და შინ, როგორც იტყვიან, ისევ თავაწეულები დაბრუნდნენ.

კიშინიოვში გამართულ საკავშირო ტურნირში, რომელშიც 1975 წელს დაბადებულ სპორტსმენთაგან დაკომპლექტებული გუნდები გამოდიოდნენ, ამ სპორტსკოლის აღსაზრდელებმა (ვიქტორ ბუზალაძე, ზურაბ გოგსაძე, ირაკლი ბოკუჩავა, ჯანო კინწურაშვილი, ნიკოლოზ ტაბატაძე, გიგა სიფრაშვილი, ამირან ჩაჩავა, გალაქტიონ ლაითაძე, დავით ვასაძე, არჩილ გეგენავა, ვალერი ნემსაძე, გიორგი გვარამაძე, დავით ჩოდრიშვილი და ომარ მიქაბერიძე. მწვრთნელი გოჩა სეხნიაშვილი) ყველას აჯობეს. ამ ასპარეზობაში თორმეტი გუნდი ასპარეზობდა, თბილისელებმა ყველა მეტოქე დაამარცხეს.

ამასთან, თბილისელმა გვარამაძემ საუკეთესო ცენტრალური თავდამსხმელისთვის განკუთვნილი სპეციალური პრიზი დაიმსახურა, მისი თანაგუნდელი ლაითაძე კი საუკეთესო მცველად აღიარეს.

ახლა ლაითაძე, გვარამაძე და გეგენავა 1974 წელს დაბადებულ წყალბურთელთა რესპუბლიკურ ნაკრებში შეიყვანეს და იმედია ამ ნდობას იქაც გაამართლებენ.

• • •

ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებული წყალბურთის სპორტსკოლის აღსაზრდელებისათვის მეტად მნიშვნელოვანი საკავშირო შეჯიბრება გაიმართა დუშანბესა და მოსკოვში, სადაც 1973 წელს დაბადებული სპორტსმენები გამოდიოდნენ. ეს ასპარეზობა მიზნად მოსწავლეთა სპორტსკოლების აღსაზრდელთა II საკავშირო სპორტული თამაშებისთვის უკეთ მზადებას ისახავდა.

ეს შეჯიბრება დუშანბეში დაიწყო, სადაც წინასწარი ასპარეზობები გაიმართა. თბილისელებმა აქ ყველა შეხვედრა მოიგეს და მოსკოვში ფინალურ პაექრობაში გამოსვლის უფლება მოიპოვეს. აქ მათ გარდა გამარჯვებისთვის იბრძოდნენ მოსკოვის, უკრაინის, აზერბაიჯანის, მოლდავეთის, ყაზახეთის, ტაჯიკეთისა და სომხეთის გუნდები.

კიშინიოვში გამართული საკავშირო ტურნირში გამარჯვებული გუნდი.
ჯავარ ლომიძის ფოტო.

თბილისის [illegible] გოგუ[illegible] მურვანიძე, [illegible], გიორგი ელიავა, [illegible], გიორგი ფირანიშვილი, ავთანდილ მაღლაკელიძე, ნოდარ ჩხარტიშვილი, გიორგი ბურდული, ლევან ჩომახიძე, დიმიტრი აბდუშელაშვილი, ნიკა ასათიანი. მწვრთნელები გურამ ნამგალაური, გელა ტუკვაძე და ჯონდო მაჭარაშვილი). აქ ერთადერთი შეხვედრა დაამთავრეს ფრედ (სომხეთთან), დანარჩენი კი მოიგეს და 13 ქულით პირველი ადგილი დაიკავეს.

უნდა ითქვას, რომ მოსწავლეთა სპორტსკოლების აღსაზრდელთა საკავშირო სპორტულ თამაშებზე განათლების სამინისტროს ხუთი ნაკრები „შრომითი რეზერვების“ სახელით გამოვა. პირველი და მეორე გუნდი მთლიანად თბილისელი და ალმაათელი წყალბურთელებით დაკომპლექტდება, რაც ჩვენი გუნდის სიძლიერეზე მეტყველებს.

ისიც აღსანიშნავია, რომ ჩვენი 1973 წელს დაბადებულ წყალბურთელთა გუნდი რესპუბლიკის ნაკრების ერთგვარ საბაზო კოლექტივად მიაჩნიათ და მის მომზადებაში აქტიურად მონაწილეობს თბილისის „დინამოს“ უფროსი მწვრთნელი გივი ჩიქვანაია.

• • •

ჩვენი ნორჩი წყალბურთელების მიღწევები ამით არ ამოწურულა. ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებული წყალბურთის სპორტსკოლის აღსაზრდელები გამოდიოდნენ კიევშიც, სადაც ალექსანდრ ბარკალოვის სახელობის საკავშირო ტურნირი გაიმართა. შეჯიბრება, მართალია, 1975 წელს დაბადებულ წყალბურთელთათვის გაიმართა, მაგრამ თბილისელები კიევში ერთი წლით უმცროსი ასაკის სპორტსმენებით დაკომპლექტებული გუნდით გაემგზავრნენ. მიუხედავად ამისა, ჩვენმა წყალბურთელებმა (ერიკ შათაშვილი, კახა დარსაველიძე, ბაკურ ბენია, დიმიტრი გუბელაძე, მიხეილ ჩიჩუა, დავით ძიძიკაშვილი, ალექსანდრე ცაგარელი, პავლე ორჯონიკიძე, არჩილ ფურცხვანიძე, ირაკლი შარაშიძე, გიორგი მამაჯანაშვილი, დიმიტრი ლაფიაშვილი, ვლადიმერ ივანოვი. მწვრთნელი დავით ჩერქეზიშვილი) მესამე ადგილი დაიკავეს.

ავთანდილ ჯუჯიშვილი.

სპორტის უჩინარი მსახურნი

პროფესიით და... გატაცებით

არ მახსოვს ფეხბურთის მატჩი თბილისის „დინამოს“ სტადიონზე, მეტოქის კარის უკან ფოტოაპარატმომარჯვებული კონსტანტინე შანიძე რომ არ იდგეს „ჩასაფრებული“. ვინც ახლოს არ იცნობს მას, ეს შვიდ ათეულ წელს მიღწეული კაცი, ალბათ, ფოტორეპორტიორი ჰგონია. სინამდვილეში კი ფოტოგრაფია კ. შანიძის გატაცებაა, ასე ვთქვათ, მეორე პროფესიაა — იგი ხომ ენერგეტიკოსია, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონის ერთ-ერთი უძველესი მუშაკი, ჩვენი საამაყო სპორტული ბაზის ელექტროსისტემის მესაიდუმლე.

● ფეხბურთს როდის დაუკავშირდით?

— საგურამოს ქუჩაზე ვცხოვრობდი, სტადიონის უკან და... ჩემი ყველა გზა „დინამოსაკენ“ მიდიოდა. ფეხბურთი და ფოტოსაქმე ერთნაირად შემიყვარდა. სკოლაში მასწავლებელი ფეხბურთს ხშირად გვათამაშებდა. მერე, რკინიგზის ტექნიკუმში სწავლისას, ამ სასწავლებლის ნაკრებში შემიყვანეს მარცხენა გარემარბად. ეს იყო 1934-1938 წლებში.

● ცხადია, თბილისში ბასკების სტუმრობაც გახსოვთ...

— ბასკებს რკინიგზის სადგურზე შევხვდი და გადავიღე. გუნდის კაპიტნის ლუის რეგეიროს სურათიც

მაქვს, როდესაც ის მიკროფონით გამოდის დამხვდურთა წინაშე. აპარატით სტუმართა ვარჯიშზეც მივედი. ჩვენი დინამოელებიც ესწრებოდნენ მეცადინეობას. ერთ-ერთი დარტყმისას რკინის მოაჯირს მოხვდა ბურთი და გასკდა. მეორე დღეს თბილისში ხმა დაირხა: ბასკები ისე ურტყავენ, ბურთებს ხეთქავენო! თამაშის დროს კი, წარმოიდგინეთ, ერთთავად ეჩებარიას ვიღებდი. შეცდომაში შემიყვანა ბორის პაიჭაძემ: ეჩებარია მეგრელია, მამამისი წარმოშობით ცხაკაიადან არისო და, აბა შენ იცი, კარგად გადაიღე — მის სურათს ყველა გაზეთი დაგიბეჭდავსო! მეც ვუღებდი და ვუღებდი ბასკების მარცხენა ნახევარმცველს.

● თქვენს თვალწინ და, ასე ვთქვათ, თქვენი აპარატის ობიექტივის წინ გაიარა ქართული ფეხბურთის თითქმის ყველა თაობამ...

— მართლაც ჩემთვის, მერწმუნეთ, დიდი სიამოვნებაა ქართული ფეხბურთის გამარჯვებათა აღნუსხვა ფოტოფირზე. ჩემს ყმაწვილობისას ფეხბურთელები „ბიჭოს“ მეძახდნენ, მერე — „კოსტიას“, უფრო გვიან — „ძია კოსტიას“, ახლა — „პაპა კოსტიას“ მიძახიან: მიხარია კიდეც, თუმცა წლები მემატება.

● თქვენ ხომ ოჯახიც სპორტული გაქვთ...

— დიახ, ყველა მათგანი დინამოელია: ერთი ქალიშვილი მოცურავე გახლავთ, მეორე ტანმოვარჯიშე. ოთხი შვილიშვილი მყავს — უფროსი დავითი თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდში თამაშობს ნახევარმცველად, ნინო და თეა მოცურავეები არიან, ხოლო უმცროსი — ველა ძიუდოისტია. ჩემი მეუღლე „დინამოზე“ მსახურობს მოლარედ, სიძე — გურამ პეტრიაშვილი კი „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელი გახლავთ. მე კი.., უკვე 43 წელია „დინამოს“ სტადიონის ელექტრომექანიკოსი ვარ.

ოთარ ნოზაძე.

მხოლოდ „მეორე რაუნდში“

(დასასრული)

ნირიდან ტურნირამდე სწავლობენ ბიჭები ქართულ ჭიდაობას“.

ქუთაისელთა გასვლა მეოთხედფინალში მართლაც მნიშვნელოვან წარმატებად უნდა ჩაითვალოს, გუშინწინდელ შეხვედრაშიც ისინი თავგამოდებით იბრძოდნენ, მაგრამ ძალები მაინც უთანაბრო იყო, თუმცა ჭაბუკმა ქუთაისელმა ფალავნებმა საპატიო ანგარიშით — 4:5 დათმეს შეხვედრა (გორელებს ბოლო ორთაბრძოლაში მოჭიდავე აღარ გამოუყვანიათ). დამარცხებულთაგან შესანიშნავად იჭიდავა კობა გაბუნიამ, რომელმაც ზედიზედ ორი შეხვედრა მოიგო, ამასთან მეორე — წმინდად, ულამაზესი გდებით.

გუშინწინ მეორედ არკვევდნენ ძალთა თანაფარდობას ვაყისა და ჰატარძეულის გუნდები, მათი გასული კვირის შეხვედრა, როგორც უკვე გაცნობეთ, გულშემატკივართა მიზეზით არ დამთავრდა. ინტერესი „მეორე რაუნდისადმი“ მართლაც დიდი იყო.

თავიდანვე დაწინაურდნენ საგარეჯოელები — 4:2 და თითქოს საქმე მოთავებული ჩანდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია პატარძეულის გუნდის წევრის გია ხოსიტაშვილის შესანიშნავი გამოსვლა, რომელსაც აშკარა უპირატესობა ჰქონდა ზაზა მეზურნიშვილთან ჭიდაობაში და ბოლოს წმინდად გაიმარჯვა. კარგი შთაბეჭდილება დატოვა მისმა თანაგუნდელმა ალექსანდრე მირზაშვილმაც, რომელმაც გოჩა აკოფოვი დაამარცხა. თავის მხრივ თავი გამოიჩინა ვაყელმა ელგუჯა შერაზადაშვილმა, — სულ რაღაც 22 წამში აჯობა რამაზ ცხვარიაშვილს და ანგარიშის სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა — 3:4.

ვაყელებმა მათთვის მეტად კრიტიკულ წუთებში მთავარ ძალას, ავთანდილ მულაძეს უხმეს ხალიჩაზე. საგარეჯოელებმა კი, რომელთაც მარქაფში მხოლოდ ერთი ძლიერი ფალავანი — კობა კუპატაძე დარჩათ, ტაქტიკური მოსაზრების მიზნით — რათა მულაძე დაეღალათ, მსუბუქი წონის ზეზვა სუხაშვილი შეახვედრეს (მეტი აღარავინ ჰყავდათ). გოლიათისა და მასზე თითქმის ორჯერ მსუბუქი წონის მოჭიდავის შერკინება საკმაოდ უსიამო სანახავი იყო და ცხადია, მულაძემ იოლად გაიმარჯვა. ანგარიში გახდა 4:4.

სამაგიეროდ, მისი და კუპატაძის მეტად მწვავე შერკინებაში ახალგაზრდა საგარეჯოელმა ფალავანმა მეტი შემართება გამოიჩინა, ძნელ ბრძოლაში დამაჯერებლად დაამარცხა მეტოქე და გამარჯვება მოუტანა გუნდს — 5:4.

აუცილებლად უნდა ითქვას ასპარეზობის შუამავალი არბიტრის მცხეთელ აბესალომ წიკლაურის შესანიშნავ მსაჯობაზე, რომლის წყალობით აცილებული იქნა კონფლიქტი გულშემატკივართა მხრიდან. მაყურებლები ახლაც ძლიერ აქტიურობას იჩენდნენ, მაგრამ ვნებები ამჯერად არ გადასცილებია მგზნებარე გულშემატკივართა მოქმედების საზღვრებს.

ავთანდილ მულაძე (მარცხნივ) და კობა კუპატაძე.

• • •

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

◆ ◆ ◆

ბარსელონა ემზადება

აპრილის ბოლოს ბარსელონაში გაიმართა ოლიმპიურ სახეობათა საერთაშორისო სპორტული ფედერაციების ასოციაციის (ასოიფ) მე-8 ასამბლეა, აგრეთვე 25 საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელების თათბირები საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრებთან ერთად. ვმონაწილეობდი ამ თათბირებში როგორც ველოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის დელეგაციის წარმომადგენელი. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ აგრეთვე უსი-ს (ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირი) პრეზიდენტი ლუის პუჩი (ესპანეთი), ფიაკის პრეზიდენტი ვალერი სისოევი (სსრ კავშირი) და ფიაკ-ის გენერალური მდივანი კარლა ჯულიანი (იტალია). სსრ კავშირის მხრივ ასოიფ-ის მუშაობაში მონაწილეობდნენ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის წევრი, ოლიმპიური პროგრამის კომისიის პრეზიდენტი ვიტალი სმირნოვი, ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი იური ტიტოვი, ადმინისტრაციული მდივანი ნიკოლაი გრუშინი და თანამედროვე ხუთჭიდისა და ტრიატლონის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი იგორ ნოვიკოვი.

სამდღიანი თავყრილობა ბარსელონის მუსიკის სასახლეში საზეიმოდ გახსნა ასტურიის პრინცმა ფელიპემ, ესპანეთის მეფის ხუან კარლოს პირველის 22 წლის ვაჟმა. შემდეგ მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ ოლიმპიადა — 92-ის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტი, ბარსელონის მერი პასკუალე მარაგალი და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი. საღამო დამთავრდა ტრადიციული კატალონური მუსიკის მცირე კონცერტით და ოლიმპიური ჰიმნით, რომელიც ადგილობრივმა ახალგაზრდულმა გუნდმა შეასრულა. უნდა აღინიშნოს, რომ ბარსელონის მერი დამსწრეთ მიმართავდა კატალონურ ენაზე, რომელიც 1992 წლის ოლიმპიადაზე ესპანურთან, ფრანგულთან და ინგლისურთან ერთად ოფიციალური ენა იქნება.

ასოიფ-ის სამუშაო კრებები ძალზე დაძაბულად მიმდინარეობდა. განსაკუთრებით მძაფრი დისკუსიები გაიმართა ასოიფ-ის საბჭოს შემდგომი 4 წლით არჩევასთან დაკავშირებით. მისმა ახლანდელმა პრეზიდენტმა, მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა პრიმო ნებიოლომ (იგი ამ ცოტა ხნის წინ იძულებული გახდა დაეტოვებინა იტალიის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტი), რომელმაც კვლავ წამოაყენა თავისი კანდიდატურა, აშკარად დაკარგა პოპულარობა საერთაშორისო ფედერაციათა ხელმძღვანელების უმეტესობას შორის. 25 დამსწრე ფედერაციიდან 17 ხმით (ყოველ ფედერაციას ერთი ხმის უფლება აქვს) ასოიფ-ის ახალი საბჭოსა და პრეზიდენტის არჩევნები გადატანილია საგანგებო სხდომისთვის, რომელიც ა. წ. ოქტომბერში გაიმართება ბუდაპეშტში. აქვე დამტკიცდება ასოიფ-ის ახალი წესდებაც. პ. ნებიოლოს წინააღმდეგ ყველაზე უფრო კრიტიკულად გამოვიდნენ ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი რუბენ აკოსტა, ნიჩბოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი თომას კელერი, მშვილდოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი ნიეკი რუსკონი, ცხენოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი პრინცესა ანა. უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისის დედოფლის ქალიშვილის ბარსელონაში ჩამოსვლამ პრესის დიდი ყურადღება მიიპყრო. შუქდებოდა მისი ყოველი ნაბიჯი თვითმფრინავით ჩამოფრენიდან დაწყებული, კაბისა და ავტომობილის ფერით, ჩემოდნების რაოდენობით დამთავრებული. პრინცესა ანა ცხოვრობდა ბარსელონის ერთ-ერთ საუკეთესო სასტუმროს „მელია სარიას“ აპარტამენტებში. ამავე სასტუმროში იყვნენ ყველა საერთაშორისო ფედერაციების წარმომადგენლები, აქვე იმართებოდა ასამბლეა და სხვა სამუშაო თათბირები, აგრეთვე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ხ. ა. სამარანჩის მიერ გამართული ოფიციალური მიღება და სადილი. სამწუხაროდ, სწორედ ბოლო სადილის შემდეგ თავის მშობლიურ ქალაქში, სადაც იგი დიდი ხანია არ ყოფილა, სამარანჩი საავადმყოფოში აღმოჩნდა. თავდაპირველად მისმა მდგომარეობამ ექიმებში გარკვეული შეშფოთება გამოიწვია, მაგრამ შემდეგ გამოცხადდა, რომ პრეზიდენტის ავადმყოფობა დაკავშირებულია საჭმლის მომნელებელ ორგანოებთან და იგი საავადმყოფოში მხოლოდ ორიოდ დღეს იწვებოდა.



საცხენოსნო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი პრინცესა ანა უშიშროების სამსახურის მუშაკების თანხლებით ოტელ „მელია სარიას“ ვესტიბიულში.

თუმცა, სამარანჩმა, იმ დღეს, დილით, მოასწრო ჩაეტარებინა ასოიფისა და სოკ-ის აღმასკომის ერთობლივი სხდომა, სადაც მიიღეს სპორტში დოპინგის მიღების წინააღმდეგ ულმობელი ბრძოლის ერთობლივი განცხადება.

ოლიმპიური ასპარეზობები ბარსელონაში გაიმართება 1992 წლის 25 ივლისიდან 9 აგვისტოს ჩათვლით. ოლიმპიური ჯილდოები გათამაშდება სპორტის 28 სახეობაში. ამას გარდა გაიმართება საჩვენებელი გამოსვლები გორგოლაჭებიან ჰოკეიში და ესპანურ ეროვნულ სპორტის სახეობა პელოტაში.

თამაშების ოფიციალური გახსნა გაიმართება 25 ივლისს სტადიონზე, რომელიც 1929 წელსაა აშენებული. იგი თითქმის მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში „უსაქმოდ“ იყო, ახლა კი მთლიანი რეკონსტრუქცია უკეთდება. უცვლელი დარჩება მხოლოდ გარე კედლები და ცენტრალური შესასვლელი თვითმყოფადი არქიტექტურით. შიგნით მიწის საფარი 11 მეტრითაა ჩაღრმავებული, რაც საშუალებას იძლევა ტრიბუნების ტევადობა 70 ათასი კაცით გაიზარდოს. სტადიონის დღევანდელმა მდგომარეობამ გვაფიქრებინა, რომ სამშენებლო სამუშაოები დამთავრდებოდა 1992 წლისთვის, მაგრამ გვითხრეს, რომ წელსვე, სექტემბერში, აქ მძლეოსანთა მსოფლიო თასი გათამაშდებაო.

ეროვნული ოლიმპიური სტადიონის გვერდით (იგი გაცილებით პატარაა კლუბ „ბარსელონას“ 120-ათასიან სტადიონთან შედარებით), შენდება უნივერსალური 17 ათასიანი სპორტის სასახლე, სადაც იასპარეზებენ ტანმოვარჯიშეები, ხოლო მათი ტურნირის დამთავრების შემდეგ ჩატარდება ხელბურთელთა და კალათბურთელთა ფინალური შეხვედრები. სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობა დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს. თაღის კარკასი, რომელსაც არც ერთი საყრდენი არ ექნება, იაპონური ტექნოლოგიის მიხედვით შეიკრა ქვემოთ, ადამიანის სიმაღლის დონეზე, 12 ერთგვარ ამწე-დომკრატებზე, რომლებმაც შემდეგ, 10 დღის განმავლობაში, ეს კარკასი 46 მეტრის სიმაღლეზე აწიეს.

ბარსელონაში ბევრი სპორტული ნაგებობა თავიდან შენდება. რაც შეეხება ველოდრომს, იგი აქ 1984 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის აშენდა. წრიული საგზატკეცილო ტრასა კი ტრეკთან ძალზე ახლოს კეთდება. შენდება აგრეთვე ახალი გარსშემოსავლელი გზები ბარსელონას გავლით საფრანგეთში მიმავალი ავტოტრანსპორტისთვის.

დაიწყო გვირაბებისა და ესტაკადების მშენებლობებიც. მომავალში გაფართოვდება ქალაქის ქუჩები, რაც რიგი ძველი შენობების აღების ხარჯზე მოხდება. ეს ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ თავიდან აიცილონ საავტომობილო „საცობები“ ოლიმპიადის დღეებში.

განსაკუთრებით დიდი გაქანება მიიღო ოლიმპიური სოფლის მშენებლობამ ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, საზღვაო ნავსადგურის რაიონში. აქ დაანგრიეს რამდენიმე ძველი ქიმიური და ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა, აგრეთვე ძველი შენობების მთელი კვარტალი. მალე ზღვის სანაპიროდან მოშორებით გადაიწევს სარკინიგზო მაგისტრალიც. ამ ტერიტორიაზე შემოდგომაზე დაიწყება 13000 კაციანი „სოფლის“ მშენებლობა. მთელი ოლიმპიური სოფლის გასწვრივ 4-კილომეტრიანი ქვიშის პლაჟის ზოლი გაიჭიმება. ოლიმპიადის ორგანიზატორები დარწმუნებული არიან, რომ ნავსადგურის ამჟამად დაზანალური გამოუსადეგარი ჭუჭყიანი ზონა 1992 წლისთვის სუფთა და სასეირნო ზონად გადაიქცევა.

მირონ ბარამია,
ველოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის ტექნიკური კომისიის წევრი.

ბავშვთა საკავშირო ტურნირი
კლასიკურ ჭიდაობაში

ოთხი ჩემპიონი და სხვა პრიზიორები

ჩვენი რესპუბლიკის სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების“ ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვების სპორტსკოლის მოსწავლეთა გუნდი, რომელიც ძირითადად თბილისის, ჩოხატაურისა და მახარაძის რაიონის ნორჩი სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული, გამოვიდა მოსკოვის ოლქის ქალაქ სხდონიაში გამართულ კლასიკური სტილის მოჭიდავეთა საკავშირო ტურნირში. შეჯიბრების მონაწილეები ორ ასაკობრივ ჯგუფად იყვნენ დაყოფილნი: 1974-1975 და 1976-1977 წლებში დაბადებულები.

უმცროსი ასაკის სპორტსმენთა შორის გამარჯვებულები გახდნენ: უჩა მჟავანაძე (38 კგ, ნასაკირალი), დავით არღვლიანი (47 კგ), დავით ბურდული (70 კგ), გიორგი გარდავა (87 კგ, ყველა — თბილისი). II ადგილები დაიკავეს: ლევან ოდიშარიამ (29 კგ), ლაშა არღვლიანმა (38 კგ), აკაკი კუჭაშვილმა (70 კგ, ყველა — თბილისი), კობა წულაძემ (32 კგ, ნასაკირალი).

უფროსი ასაკის სპორტსმენთა შორის გაიმარჯვეს: კახა ქუქჩიშვილმა (38 კგ, ნასაკირალი), მერაბ ნოზაძემ (42 კგ, რუსთავი), ტრისტან ქათამაძემ (60 კგ), რევაზ ლაღიძემ (69 კგ, ყველა — ნასაკირალი), გოჩა მეფარიშვილმა (81 კგ, ჩოხატაური).

მეორე ადგილები მოიპოვეს: ერიკ ხაჩატუროვმა (52 კგ), გიორგი რომანოვმა (56 კგ, ორივე — თბილისი), ზაზა დოლიძემ (64 კგ, ჩოხატაური), რაფიკ მამედოვმა (74 კგ, თბილისი).

გუნდი შეჯიბრებისთვის მოამზადეს მწვრთნელებმა გურამ მაჭარაშვილმა და გოჩა ბარბაქაძემ.

● ● ●

„სპორტლოტო“

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოს“ მე-20 ტირაჟის შედეგები, რომელიც 1989 წლის 14 მაისს გაიმართა.

„სპორტლოტო 6 45“-დან. ტირაჟში დაშვებულია 1.728.541 ვარიანტი. 6 ნომრის გამოცნობისთვის (1) მოგება 10 000 მანეთია, 5 ნომრისთვის (23) — 3. 679, 4 ნომრისთვის (2.003) — 42, 3 ნომრისთვის (35.175) — 3.

საქართველოში: 6-0, 5-0, 4-49, 3-926.

„სპორტლოტო 5 36“-დან. ტირაჟში დაშვებულია 18.346.586 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (31) მოგება 10 000 მანეთია, 4 ნომრისთვის (6.681) — 140, 3 ნომრისთვის (240.196) — 7.

საქართველოში: 5-0, 4-148, 3-6434.

მე-20 ტირაჟის მოგებები გაიცემა 1989 წლის 29 მაისიდან 29 ივნისის ჩათვლით.

● ● ●

„სპორტპროგნოზი“

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ მე-20 ტირაჟის შედეგები, რომელიც 1989 წლის 13-15 მაისს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 5.508.475 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (5) მოგება 10 000 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (230) — 761 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (3.330) — 195 მანეთი.

საქართველოში: 13-0, 12-22, 11-312.

მე-20 ტირაჟის მოგებები გაიცემა 1989 წლის 5 ივნისიდან 5 ივლისის ჩათვლით.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი
ინდექსი
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10 359